წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | პარასკევი, 6 მაისი 1916 წ. | № 101

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. ქრონიკის გარეშე მიღებული განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

2 მაისს, დილის 4 საათზე განისვენა მგოსანმა

## ИРОДИОН ევდოშვილმა

რასაც გულისკვნესით აუწყებს ქართველ საზოგადოებას

## „საქართველო“-ს რედაქცია

პანაშვიდები ყოველ დღე სალ. 7 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

---

თავზარდაცემული **მარიამ ივანეს ასული, ვანო, თამარ, ბეტა და თინა ევდოშვილები და ევა ნოდარის ასული ჯანყარაშვილი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 2 მაისს, გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორეთა—საყვარელი მამა და მესამესი—დაუვიწყარი სიძე

## ИРОДИОН ისაკის ძე ხოსიტაშვილი-ევდოშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სალ. 7 ს.

---

## „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია

მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 2 მაისს, დილის 4 სათ. თბილისში გარდაიცვალა

## მგოსანი ირ. ევდოშვილი

---

მწუხარებით გულდამწვარი **ბაბილინა ისაკის ასული და ნიკოლოზ სვიმონის ძე კურდღელაშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობმეგობართ, რომ 2 მაისს დილის 4 საათზე მიიცვალა მათი უსაყვარლესი პირველისა ძმა, მეორისა ცოლის ძმა

## ИРОДИОН ისაკის ძე ევდოშვილი-ხოსიტაშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე სალ. 7 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

---

**გულმოკლული პოლკოვნიკი ილარიონ ისაკის ძე ხოსიტაშვილი და მისი მეუღლე ნინო** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 2 მაისს, დილის 4 საათზე, გარდაიცვალა პირველისა საყვარელი ძმა მეორისა მაზლი

## ИРОДИОН ისაკის ძე ხოსიტაშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე სალ. 7 ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

---

2 მაისს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა

## ИРОДИОН ისაკის ძე ხოსიტაშვილი-ევდოშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **ძმა თომა ისაკის ძე, რძალი ოლღა დავითის ასული შვილებითურთ.**

---

2 მაისს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა

## ИРОДИОН ისაკის ძე ხოსიტაშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **სიდედრი ევა ჯანყარაშვილისა, ცოლის ძმა მიხეილ ივანეს ძე ჯანყარაშვილი ცოლშვილით.**

---

ღრმად დამწუხრებულნი ძმა გიორგი ლუკას ძე ბაქრაძე, დები: ანნა ნახუცრიშვილისა, მარიამ კანდელაკისა, ნატალია თოთიბაძისა, ანასტასია ექვთიმიშვილისა და რძალი ნინა რომანოზის ასული ბაქრაძისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 5 მაისს **ქვაშვეთის წმ. გიორგის** გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი **ეკლესიაში** პირველთა საყვარელ ძმისა, მეორესი ძვირფას მაზლისა და უკანასკნელთა დაუვიწყარ ბიძისა

## ირაკლი ლუკას ძე ბაქრაძისა,

რომელიც გარდაიცვალა 28 აპრილს, ქ. არდაგანში.
წირვის დასაწყისი დილის 10 საათზედ. 1—173—1

---

**ელენე ქაიხოსროს ასული ანტონოვსკისა, სპირდონ იოსებ. ბაქრაძე** შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

## ეკატერინე ზაალ ბარათაშვილის ასულის ბრომელისას

გამოსვენება დღეს, 6 მაისს, 12 საათზე. ვაკე, სახლი ბაბაევისა, ბინა ბაქრაძისა, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე

---

# მოდური მაღაზია

## მ. გაჭრულისა

სასახლის ქუჩაზე

იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი

## მხოლოდ ევროპიული

(—83—)

---

## აბასთუმანი

### სასტუმრო „მინერალ ია ვოდი“

გვაქვს კარგათ მოწყობილი 50 ოთახი და ვაძლევ სეზონით და დღიურათაც. სასტუმროს აქვს საუკეთესოდ მოწყობილი რესტორანი. მსურველთ შეუძლიათ დაიქირაონ წერილობით და დეპეშით. ქირა ზომიერია. შედარებით სხვა ადგილებზე, აბასთუმანში იაფია ყველაფერი.
სასტუმროს პატრონნი ჩიკვაიძე და გეგიაძე.
(8-163-3)

---

7 მაისს, 1916 წელს

## სახალხო სერნობა

არტისტიულ საზაფხულო სადგურში (ხეილის ქ. № 113)
ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების

## ჭრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ

დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე.

---

ქ. ბაქოში

## ღვინით ვაჭრობა „მელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

---

## შეშის საწყობი

### ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**

## საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
ტელეფონი 5—96.
(103—წ.)

---

საუკეთესო კახური

## ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

## ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

---

საგალანტერიო მაღაზია

## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

---

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

## ახალი აფთიაქი

✦ პროვიზორის ახვლედიანისა ✦

---

**დ. ზესტაფონში**

## ექიმი დ. კ. მაჭავარიანი

5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

---

## სტუდენტები

ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისათვის.
წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—1)

---

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

---

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

თმიდრ... **სნეულებიან ავადმყოფებს** იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
**ტელეფონი, 17—21.**

---

**ექიმი**

## გ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა** სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს:** გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

---

**ექიმი-დოსტაქარი**

## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნისა და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

---

## სახალხო სახლი

... 1916 წლის სახალხო მუსიკალურ საზოგადოების მიერ პირველად ქართულ ენაზე ...

## ტრავიატა

4 მოქმედ. ოპერა ვერდისა კ. ი. დოდაშვილის ნათარგმნი.
მონაწ. მიიღებენ: ქ-ნი **კალანდაძე,** ივანიძე, თამარაშვილი და ბ. ბ. კ. ს. **ცხომელიძე,** არაკიძე, დავითაშვილი, კურბათაშვილი, სელივან აბგაროვი და სხვანი. დასაწყისში შესრულებული იქნება რუსის ნაციონალური ჰიმნი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
(1—175—1)

---

## თბილისის სათავად-აზნაურო

## საადგილმამულო ბანკის გამგეობა

## ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 4 მაისიდან განკში მუშაობა დაიწყება დილის 9 ს-დან და დასრულდება ნაშუადღევის 1 საათზე

---

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 4 მაისი. **ოფიციალური. დასავლეთის ასპარეზი.** აბოლეს ტბის სამხრეთით გერმანელთა იერიშებმა უშედეგოდ ჩაიარა. მიტავა-კრაიცბურგის რკინის გზის მიდამოში გერმანელებმა მხრჩოლავი ბოლი იხმარეს. სვეტენის ტბის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა გაარღვია მტრის მავთულიანი სიმაგრენი და თხრილები წაართვა. 3 მაისს ღამით, ნოვოსელკას მიდამოებში, კრევოს სამხრეთით, მტრის თხრილები ავაფეთქეთ. მტრის იერიშები საარტილერიო ცეცხლით შევაჩერეთ. ოლიკას დასავლეთით წინ წავიწიეთ. ამ ადგილებში მტრის პროჟექტორი დავაზიანეთ. ეზერნის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა. ბოიანის ჩრდილოეთით, ავსტრიელები შეეცადნენ გადმოსვლას, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ ისევ თხრილებში შერეკა.

**კავკასიის ასპარეზი.** დიარბექირის მიმართულებით ოსმალების იერიში მოვიგერიეთ.

**პარიზი,** 3 მაისი. დღის ოფიციალური ცნობა. მაასის მარცხენა ნაპირზე, არტილერია მოქმედობს ავოკურთან და „304“ მაღლობთან, მაასის მარჯვენა ნაპირზე, ტიომონის ფერმის ჩრდილო-დასავლეთით მტრის იერიშებმა უშედეგოდ ჩაიარა. ვევრში, ეკოს-მულენ-ვილის უბანში, საარტილერიო სროლაა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ღამემ სიწყნარით ჩაიარა.

**ლონდონი,** 4 მაისი. ინგლისის ... ცნობა. გუშინ ღამით შესანიშნავი არ... მომხდარა რა. ებიუტერნის სამხრე... თით, მტრის სამი რაზმი შეეცად... ჩვენი თხრილების დაჭერას. ორი მათ... განი უკუ ვაქციეთ, მესამემ კი რამ... დენიმე წუთით დაიჭირა ჩვენი თხრი... ლები. ლანკაშირის მსროლელთ მტრ... მოწინავე თხრილები დაიჭირეს ... მტერს საკმაო ზიანიც მიაყენეს. ჩვენ... არტილერიამ გაჰფანტა მტრის მზ... რავები, რომელნიც ველტეს ახლ... გვზვერავდნენ. გუშინ მოქმედობდა ა... ტილერია.

**პარიზი,** 3 მაისი. საღამოს ოფი... ალი ცნობა. შამპანებში მტრის ერ... რაზმი მენილის გორაკთან ხელით ...

სროლ ყუმბარებით მოვიგერიეთ. არგონებში, ფურ-დე-პარი მიდამოებში, საარტილერიო ბრძოლაა. მდ. მაასის მარცხენა კიდეზე ძლიერი საარტილერიო ცეცხლია გაჩაღებული ავოკურის ტყის, მე „304“ მაღლობის და მორჰტომის მიდამოებში. მტრის იერიში მე-„304“ მაღლობის დასავლეთით, არტილერიის ცეცხლით შევაჩერეთ. მდ. მაასის აღმოსავლეთით, ვევრში საარტილერიო ცეცხლი ხამუშ-ხამუშ ქარიშხალისებურ ხასიათს ღებულობს. ბრძოლის დანარჩენ ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

**ჰავრი.** 3 მაისი. ბელგეთის ოფიციალი ცნობა. დღეს ბელგეთის ჯარის ბრძოლის ხაზზე გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლაა. ჩვენ ყუმბარები დაუშინეთ მტრის სიმაგრეებს იზერის აღმოსავლეთ კიდესთან და დიკსმიუდეს გარშემო. სენ-აფორჟის აღმოსავლეთით—ერთს ადგილს ორივე მოპირდაპირე მედგრად ისროდა ზარბაზნებს.

---

**საბერძნეთი და სერბეთის ჯარი.**

ის საკითხი, თუ რა პირობებში უნდა გადაიყვანონ სერბეთის ჯარი საბერძნეთის მიწა წყალზე, დღემდე გამოურკვეულია და საკითხის გადაჭრაც გართულდა. რამდენიმე დღეა ამის შესახებ შესწყვიტეს მოლაპარაკება.

სერბეთის წარმომადგენელთა და საბერძნეთის მთავარ-შტაბის შორისაც მოლაპარაკება, რკინის გზის შესახებ, შეჩერდა, რადგანაც საბერძნეთის შტაბმა განაცხადა, რომ რკინის გზა სერბეთის ჯარს ვერ დააკმაყოფილებს

**შ ვ ე ც ი ა.**

პროფ. სტეფენსის შეკითხვამ შვეციაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და დღემდე ეს საკითხი მნიშვნელობას არ არის მოკლებული. მთავრობას გადაუწყვეტია ახლო მომავალში პასუხი გასცეს ალანდის კუნძულთა საკითხს. განმარტებას მთავრობის მხრივ გარეშე საქმეთა მინისტრი ვალენბერგი მისცემს.

**შეერთებული შტატები და გერმანეთი.**

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: კანცლერისა დ მინისტრთა შორის მოლაპარაკება გათავდა. დაადგინეს ვილსონის პასუხს შეურიგდნენ, შეერთებულ შტატებს ახალი ნოტა არ გაუგზავნონ და მით მდგომარეობა უფრო არ გაამწვავონ. ამ აზრის იყო თვით კანცლერი, რომელსაც ბავარიის პრემიერი გერტლინგი მიემხრო.

მინისტრა დადგენილება ფონ-იაგოვმა ჯერარს გადასცა, რომელმაც საჩქაროდ ვილსონს აცნობა. გარეშე საქმეთა სამინისტროში მოლაპარაკება მოხდა რედაქტორებთან, სადაც დაადგინეს ვილსონის პასუხის კილო შეასუსტონ და საზოგდოებას ისე ამცნონ.

**სტიქიური უბედურება გალიციაში.**

მინსკიდან მოსულის ცნობებით გალიციაში დიდი წყალდიდობაა, რომელსაც დიდი ზარალი მოაქვს. კრაკოვის მიდამოებში ვისლამ გადმოხეთქა. სოფლები: სამბორკი, კოპონცე და ეზეუნიცი სულ მთლა წალეკილია.

ნიაღვარმა დიდად დააზარალა ქალაქი ჩერნიხოვი და კრაკოვის მიდამოები. დასავლეთ გალიციაში გადიდნენ: სოლა, რამა და სკავინა. აღმოსავლეთით ნაპირებიდან გადმოვიდა სანი და დნესტრი. ყველგან აუწერელი უბედურებაა.

**რუსეთის ასპარეზი**

ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ, გერმანელებმა მედგარი იერიშები დაიწყეს იაკობშტადტის და მედმუსის ტბის მიდამოებში: განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევენ გერმანელთა მიერ მოტანილი იერიშებს. იაკობშტატდის მიდამოში—ზელბურჰის ჩრდილოეთით. (კრეიცბურჰ-მიტავას რკ. გზაზე)

შეწყდარი ბრძოლა გაცხოველდა 28 აპრილს ღამით. ასეთი თავგანწირულობა გერმანელებისა ჰმოწმობს, რომ აქ რაიმე სერიოზული საქმე აქვთ გადასაწყვეტი. ჯერჯერობით კიდევ გრძელდება ბრძოლა სოფ, ეპუკანში (ზელბურჰის ჩრდილოეთით) და ძნელი სათქმელია თუ რა მიზანი დაუსახავს გერმანელებს; მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში რუსეთის წინ წაწევასა მაშინ აშკარაა, რომ გერმანელები დაკარგულ სანგრებისთვის დაბრუნებას ლამობენ. შეიძლება მათ ჰსურდეთ მოპირდაპირეთა ყურადღება რიგა-დვინსკს ააცილონ. ამით კიდევ რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ რიგა-დვინის ასპარეზზე მოქმედება დაიწყო, თუმცა სარწმუნო წყაროების მიხედვით, მაისში რიგის მიდამოებში დიდი ამბებია მოსალოდნელი.

**„უდაბნო“ ასპარეზზე**

მინსკის და ვილნოს მიდამოებში ისე ძლიერად მოქმედობს არტილერიის ცეცხლი, რომ ყველაფერი განადგურებულია. რამდენიმე ვერსის მანძილზე არ შეგხვდებათ არც სახლი, არც ადამიანი და სიცოცხლის ნიშან-წყალი ხომ აღარც ბუნებას ეტყობა. მხოლოდ ნანგრევები და გადამწვარი ადგილები მოწმობენ, რომ აქ თავ-განწირული ბრძოლა მომხდარა. ყოველივე უდაბნოს წარმოადგენს და სიჩუმეს მხოლოდ არღვევს მგლების ღმუილი, რომელნიც ბრძოლის ველზე ხროვა-ხროვად დაძრწიან.

---

## ბრძოლის ველზე

---

**თბილისი, 6 მაისი.**

**შორიდან გვებრძვიან.** რუსეთი მოწინავე საზოგადობა და რუსული პრსა იშვიათ მაგალითს წარმოადგენს ისეთ საზოგადოებისს და ისეთ პრესისას, რომელსაც ბუნებრივად აკლია შნო და იერი ბატნობისა და ხელმძღვანელობისა. მართლია, თვით რუსის ხალხს არ ჰყავს საკო ინტელიგენტური ძალა, რომ საკუთარი ცხოვრების აუცილებელ ულტურულ საჭიროებას აუთავდეს, გრამ, რაც უნდა იყოს, რა კი თვით ხელმწიფო თავის საზღვრების გაფართოებისაკენ და სხვა ხალხთა დაპყრა-შემოერთებისკენ მიისწრაფვის, მ მომარაგებული უნდა ჰყავდეს აუცილებლად საჭირო კონტინგენტი სახელმწიფო მოღვაწეთა და სხვა და სხმეცნიერთა ამ შემოერთებულ ქვეყნე შესასწავლად და უაღრესად სახმწიფო ინტერესისათვის მათი სავსით გამოსაყენებლად.

ამ საქმეში პრესა სახელმწიფოს უნდა შველოდეს უტყუარ ცნობებისა და აზრმებ-მოსაზრებათა წოდებით. ხელმწიფოების ბატონობა სხვა ხალხზედ მტკიცე და ურყე მხოლოდ მაშინ არის, როდესაც ი ემყარება ამ ქვეყნების ზნე-ჩვეულის, მათი წარსული და აწმყო კულტურისა და მათი სიმდიდრე-საჭიროე მეცნიერულ შესწავლაზე. მახვილდა ძალას, რომელსაც კულტურა და ლტუროსნობა თან არ ახლავს სახელმწიფოების სახელსა და სიმტკიცეს ვე შექმნის და ვერც დაიცავს. ამ მხრ რუსეთი გასაოცარ გამონაკლისს შდგენს ევროპიელ სახელმწიფოთა შორის. ვერც ერთ სახელმწიფოს შეგნებულ საზოგადოებაში ვერ წააწყდება ისეთ ყალბს შეხედულებას, მეტ, ისეთ ზღაპრულ უვიცობას თის ქვეშევრდომ ერთა ცხოვრების შესახებ, როგორსაც წარამარა შეხვდებით ხოლმე რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში. რუსული პრესისა და რუსის მოწინავე საზოგადოების სამოქმედო ენერგია რუსეთის ნედლ საჭიროებასაც ვერ აკმაყოფილებს.

რუსეთის ხელმწიფების სვრცითი ზრდა და განფენილობა არ ყო შედეგი რუსის ერის შინაგანი მოქალაქობრივი, დინამიკური განვითარებისა,—სწორედ ამიტომ არც გვიკვირს, რომ რუსეთის უძლური კულტურული მაჯისცემა ვერ სწვდება არა-რუს ერებს. ასეთია შინაგანი მიზეზი იმ [illegible] მიმართ.

ერთი ტკბილი სიტყვა რა არის, ისიც ჩვენდა სასარგებლოდ არ დაუხარჯავს რუსულ პრესას. ერთი სურვილიც არ გამოუთქვამს, კარგია ესა და ეს რეფორმა რომ განაპირა ქვეყნებს მიეცემოდესო, ეს კი მათთვის მავნებელი იქნება და მთავრობა კარგს ინებებს თუ არ შემოიღებსო.

დღეს თითქოს, მდგომარეობა შეიცვალა! თითქოს ზრუნვასაც კი იჩენენ ჩვენდამი! თუ არც ერთ რუსულ სატახტო გაზეთს აქამდის ერთჯერაც ხმა არ ამოუღია და არ უბრძოლია კავკასიაში იმ ერობის შემოსაღებად მაინც, რომელიც რუსეთში მოქმედებდა და რომელმაც, მიუხედავად თვისი წოდებრიობისა დ სხვა მრავალი ნაკლისა, რუსეთს დიდი სამსახური დასდო,—დღეს, როდესაც მთავრობაც კი იძულებული შეიქმნა ეღიარებინა ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღების საჭიროება, „რუსკია ვედომოსტი“, „რეჩი“ და მათნი ძმანი გადმომდგარან და გაიძახიან: თბილისის თათბირის მიერ მიღებული ერობის საფუძველი უარყოფითი და დამღუპველი იქნებაო. ამნაირად ეს გაზეთები ებრძვიან და აბათილებენ თბილისში დაწყებული საეჯრობო თათბირის ყოვლად დადებით მუშაობას, ისინი ამით ხელს უშლიან ჩვენში სასწრაფოდ ერობის შემოღების საქმეს, რითაც საშუალებას გვართმევენ თუნდაც იმ ცუდი ერობით ვისარგებლოთ, რომლითაც რუსის ხალხი თვისთავის პატრონობას მაინც გაეჩვია, ადმინისტრაციის თვითნებობის და ოპეკის ჩამოშორებით.

ამ დანაშაულს თითქოს ვერც კი გრძნობენ, და ვით უმანკონი რჩევასაც გვაძლევენ: ახალ ერობას დაუცადეთო; იმ ახალ ერობას, რომელსაც რუსეთის საზოგადოება ამდენი წელიწადია უცდის და ვერ ღირსებია. განა უფრო ადვილი არ არის, რომ ჯერ თქვენთან გავთანასწორდეთ უფალნო „რუსკია ვედომოსტის“, „რეჩის“ და სხვათა გამოცემათა პუბლიცისტებო და მერე თქვენთან ერთად ვიაროთ რეფორმების გზაზედ?!

კაცი შეურიგდებოდა რუსის პრესის მიერ ამ ჩვენს გახსენებას, ჩვენივე ჩასაქოლავადაც, რომ ეს მათი იერიშები საკუთრივ რუსის საზოგადოების შინაგანი მოთხოვნილებისა და მისი მოქალაქობრივი შეგნება—იმპულსის პირდაპირი ნაკარნახევი იყოს!!! ეს მათთვის ერთგვარი პლიუსი მაინც იქნებოდა! მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ესეც ჩაგონებით მოხდა სხვების ჩაძახებით, სწორედ იმათ ჩაგონებით და იმათი ჩაძახებით ვინც აქაც თვით მეფის ნაცვლის სასახლეში, ამ ერობას და იმ უმრავლესობას ებრძვის რომელიც ქვეყნის უაღრესი საჭიროების გულისათვის მხარს უჭერს და იცავს თუნდაც 1890 წლის დებულებას. სომხის უმცირესობაზე მოგახსენებთ. სომხობას ხელი დაუდვია რამდენიმე სატახტო გაზეთზე და თავის გულის ნადებს გადმოაცემინებს. აქაური სომხური უმცირესობა დღეს შორიდან გვებრძვის.

ეს რუსულ პრესას და რუსეთის მოწინავე საზოგადოებას არც სახელს შემატებს და არა-რუს ერების საჭიროების შესახებ არც წინანდელ ზღაპრულ უვიცობის სირცხვილს ჩამოჰბანს.

---

## დეპეშები

(მოსკოვის საკ. კორესპოდენ.)

**სინოდმა დაადგინა აღადგინოს რვა სამიტროპოლიტო, მათ შორის კავკასიისაც. ეს დადგენილება სათათბიროში არ გაივლის. მას უმაღლესი მმართველობის წესით დაადასტურებენ.**

—

**ასკვიტმა რჩევა მისცა ირლანდიის ყველა პარტიებს შეადგინონ ერთი კომიტეტი, რომელსაც მიენიჭება ადგილობრივ მთავრობის უფლებანი.**

—

**„მატენ“-ის აზრით ამერიკისა და მექსიკის შორის ომია მოსალოდნელი.**

—

**იტალიელებმა დაიჭირეს კირენაიკის ნავთსადგურები.**

—

**საინტენდანტომ დაიწუნა თბილისის სამრეწველო კომიტეტის დამზადებული ყაზახური უნაგირები.**

**გ. ვ.**

—

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).

კავკასიის ასპარეზზე, დიარბექირის მიმართულებით რუსებმა ოსმალების იერიშები მოიგერიეს.

—

ეზერნის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა.

—

მაასის მარცხენა ნაპირზედ, ავოკურთან და „304“ მაღლობთან არტილერია მოქმედობს.

—

არგონებში მეტად გაძლიერდა არტილერიის სროლა.

—

ბელგეთის ასპარეზზე გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლაა.

—

სასახლის კამერ-იუნკერი ბილმასოვი სამსახურიდან გადააყენეს.

---

# იროდიონ ევდოშვილის
## გარდაცვალების გამო

**პირველი სხდომა ბიუროსი, მგოსან ირ. ევდოშვილის დაკრძალვის შესახებ.**

4 მაისს, საღამოს 8 საათზე „ახალ კლუბის“ ფოიეში მოხდა კრება ქართულ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელებისა, კრებამ აირჩია ირ. ევდოშვილის დაკრძალვის წესრიგის მიმცემი ბიურო. არჩეულ ბიუროს იქვე ჰქონდა პირველი კრება.

კრებას დაესწრნენ ბიუროს წევრები: ს. მგალობლიშვილი, დ. იმნაიშვილი, ს. შანშიაშვილი, ა. ჭუმბაძე, ქ-ნი კაკაბაძის ასული ნ. ნაკაშიძისა, რ. ბებიაშვილი, დეკ. ან. თოთებაძე, ივ ზედგენიძე, იოს. იმედაშვილი (არ გა... და ს. გოგოლაშვილი).

კრება დაიწყო 4 მაისს, საღ. $9^1/_2$ ს. სოფ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით. ბიუროს მდივნად მიწვეულ იქმნა ჩ. კაპანაძე.

პირველად წამოყენებულ იქმნა საკითხი, როგორ აცნონ ქართულ დაწესებულებებს და საზოგადოებებს, რომლებიც ქ. თბილისს გარედ იმყოფებიან, ირ. ევდოშვილის გარდაცვალება და დაკრძალვის დრო. კრებამ დაადგინა გაიგზავნოს დეპეშები: მოსკოვსა, პეტროგრადსა, დონის როსტოვსა, კავკავსა, ბაქოსა და სოხუმში, შემდეგი შინაარსისა: გარდაიცვალა მგოსანი ირ. ევდოშვილი, დაკრძალვა რვაშია. ხოლო სხვა ადგილობრივ ქალაქებში საჭიროდ არ სცნეს დეპეშების გაგზავნა იმ მოსაზრებით, რომ გაზეთებით შეიტყობენო.

ბიურომ დაადგინა აგრეთვე, ქვაშვეთის ეკლესიაში, სადაც განსვენებული ასვენია, ყოველ საღამოთი 7 საათზე, ეპისკოპოზის და მგალობელთა თანადასწრებით გარდახდილ იქნეს პანაშვიდები. მოწვეულ იქმნება ჩხიკვაძის და მთ. კ. ჩუტკერაშვილის გუნდები.

ქართველ საზოგადოების მონაწილეობის მისაღებად მგოსნის დაკრძალვაში, ბიურომ გარდასწყვიტა შემდეგი შინაარსის მოწოდებით მიჰმართოს:

**ქართველ საზოგადოებას!**

(ირ. ევდოშვილის გარდაცვალების გამო).

გარდაიცვალა მგოსანი ირ. ევდოშვილი, რომელიც 25 წ. დაუღალავად ემსახურებოდა მშრომელ ერის გათვითცნობიერებას... მთელი თავისი სიცოცხლე მრავალტანჯულმა მგოსანმა სამშობლოს მიუძღვნა და ერის კეთილდღეობით გასულდგმულებულმა საკმაო ნაშრომები დასტოვა...

ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრების მიერ არჩეული ბიურო, ძვირფას მგოსნის ცხედარს დაკრძალავს დიდუბის პანთეონში, თანახმად ქ. შ. წ.-კ. გამგეობის დადგენილებისა.

დაკრძალვა დანიშნულია 8 მაისს. დაკრძალვის ხარჯები უნდა იკისროს ქართულმა დაწესებულებებმა. ხარჯებს მორჩენილი თანხა გადაეცემა მგოსნის უმწეოდ დარჩენილ ქვრივს და ოთხს მცირეწლოვან შვილს. გვირგვინები არ იქმნება. შემოწირულება მიიღება ქარ. გაზეთების რედაქციებში და ბიუროს ხაზინადრის ივ. ნიკ. ზედგინიძის სახელზე: თბილისი, „მეურნის“ საზოგადოება, ძველი სემინარიის შენობა.

ალ. შანშიაშვილმა ორი წინადადება შეიტანა კრებაზე: 1) მგოსანი ირ. ევდოშვილი ყვავილებით შემკულ საკაცით უნდა წაასვენონ დიდუბის ეკლესიაში; 2) აეკრძალოს კერძო პირთ ირ. ევდოშვილის თხზულებაზა გამოცემა, რათა უნუგეშოდ დატოვებულ იროდიონის ქვრივს ცხოვრების სალსარი არ შეუმცირონ; წიგნები თუ სურათები ... იროდიონის ცოლშვილის სასარგებლოდ უნდა გაიყიდოს.

ეს ორი საკითხი განხილულ იქმნება. ბიურომ დაადგინა 100 მან. ეხლავე გადასცეს ევდოშვილის ქვრივს.

ბიუროს კრებები მოხდება „ნაკადულის“ რედაქციაში. კრება გათავდება ღამის $10^1/_2$ ს.

**ბიურო მოუწოდებს დაკრძალვის წესრიგში მონაწილეობის მიღების მსურველთ, მობრძანდნენ და ჩაეწერნენ „ნაკადულის“ რედაქციაში.**

---

## დეპეშები

**ქუთაისი.** მოკვდა მგოსანი, დაიმსხვრა ჩანგი, ერის სიმებთან ერთად მღერავი. იტირე ბედშავო საქართველო, შენ დაჰკარგე იროდიონ ევდოშვილი.

**სვიმონ ქვარიანი.**

**ბათომი.** ჩვენი სამშობლო საქართველოს ჭირისუფალთ მოაკლდა ევდოშვილი, მომღერალი ერის უწმინდეს უფლებათა. იგი მოუწოდებდა წინ სვლისაკენ. ძვირფასო მეგობრებო თქვენთან ერთად ვგლოვობ ამ უდროო და აუნაზღაურებელ დანაკლისს.

**დიმიტრი ქიაბრიშვილი.**

**გორი.** ულრმესად დაგვამწუხრა ძვირფას იროდიონის გარდაცვალებამ. ჩვენს ცრემლებს საერთო ცრემლთა ნაკადს ვუერთებთ.

**ელიოზ რუსიშვილი ალექსანდრე რომანიშვილი.**

---

## ახალი ამბავი

✦ **უმაღლესი წყალობა.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და კავკასიის ქალაქთა კავშირის სამსახურში ნამყოფ ლ. ლ. ცქიწურაშვილს, რომელსაც სამოსამართლო პალატამ 3 წლით ციხე გადაუწყვიტა, სასჯელისაგან სრულიად გაანთავისუფლა, თანახმად იუსტიციის მინისტრის მოხსენებისა.

✦ **სასახლეში.** მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს სადარბაზოდ წარუდგა ცნობილი მემამულე განჯის გუბერნიისა ალლახიარ-ბეგი ზიულ-გადაროვი.

✦ **დეპუტატი კარლო ჩხეიძე,** რომელიც ამ ჟამად თბილისში იმყოფება, [illegible] მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებულ შაშკოვსკისთან, მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორ ისტომინთან და ქუთაისის გუბერნატორ გრაფ გუდოვიჩთან. დეპუტატი ესაუბრა მათ საკვებ მასალის და ვაზის წამლის (შაბიამანის და გოგირდის) საჭიროების შესახებ. აღნიშნულმა თანამდებობის პირებმა ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს მას.

✦ **საქართველოს ეგზარხოსი.** ამ თვის შუა რიცხვებში მიემგზავრება პეტროგრადს სინოდის სხდომებში მონაწილეობის მისაღებად.

✦ **ქველმოქმედ ქნ. ნ. ა. ბეგთაბეგოვის** დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე მოხდა. დაკრძალვას ქალაქის გამგეობა დაესწრო და განსვენებულის კუბო ვერცხლის გვირგვინით შეამკო.

✦ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის** საბჭოს წევრმა ა. ი. ხატისოვმა უარი განაცხადა წევრობაზე. მის ნაცვლად ქალაქის წარმომადგენლად ქალაქის საბჭომ ი. ნ. ხუნუნცი აირჩია.

✦ **მეხილეთა საზოგადოება ცხინვალში.** მიწად მოქმედების სამინისტრომ ნება დართო დ. ცხინვალში რუსეთის საიმპერატორო მეხილეთა საზოგადოების განყოფილების დაარსების შესახებ.

✦ **ლოტარეა ალეგრი.** ქართველ ქალთა საზოგადოებას თბ. გუბერნატორმა ნება დართო თავის თანხის გასაძლიერებლად 7 მაისს ლატარეა-ალეგრის გამართვისა.

✦ **ა. ი. იუჟინ-სუმბათაშვილის გასტროლები.** ამ დღეებში თბილისში მოელიან საგასტროლოდ ცნობილ არტისტს საიმპერატორო სცენისას იუჟინ-სუმბათაშვილს დ ცნობილ არტისტ ქალს ე. ა. ლევშინს.

✦ **არტისტ ქალ ქ-ნ უიხარევის** გასტროლები გუშინ დაიწყო არტისტიულ საზოგადოების თეატრში.

✦ **ფულის გადადება.** მიწათმოქმედების დეპარტამენტმა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას 1.000 მან. გამოუგზავნა საქონლის საკვებ ბალახეულობის მოყვანის გასაუმჯობესებლად მიმდინარე წლის განმავლობაში.

✦ **გოგირდი.** როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, 24 ვაგონი იმ გოგირდისა, რომელიც დაუთმო კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას მისმა უმაღლესობამ პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგისამ, ვლადივასტოკიდან გამოსულა 22 აპრილს და, როგორც ფიქრობენ, 14 მაისს ბალაჯარაში ძოვა.

✦ 3 მაისს მეოთხე რაიონის ინსპექტორი პოგორელოვი გაემგზავრა სიღნაღის მაზრაში სახალხო სკოლებში გამოცდებზე დასასწრებლად.

✦ **მგოსანი აბაშელი** სოხუმიდან თბილისში ჩამოვიდა. იგი ამ ჟამად სრულიად კარგადა გრძნობს თავს.

✦ **უმწეოდ დარჩენილ თავად-აზნაურ. შვილების პატრონობა.** თბილისში ჩამოვიდა ბარონესსა ა. ა. ტაუბე (კნ. რუსიევ-თოფჩიბაშევისა) თავმჯდომარე რუსეთის ბავშვთა მზრუნველ საზოგადოებისა. ბარონესსას მიზნადა აქვს უმწეოდ დარჩენილ თავად-აზნაურთა შვილებს მზრუნველობა - პატრონობა გაუწიოს. ამ მიზნის მისაღწევად იგი აარსებს თბილისში „უმწეო ქართველ თავად-აზნაურთ შვილებზე მზრუნველ საზოგადოებას“, თბ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თ-დ კ. ნ. აბხაზისა და სათავად-აზნაურო გიმნაზიის დირექტორის დახმარებით. ბარონესსას უკვე შეუდგენია წესდება ამ საზოგადოებისა, რომლის პროგრამაში შედის უმწეოდ დარჩენილ თავად-აზნაურობის ბავშვების, ორივე სქესის მომზადება (7—9 წლამდე) და აგრეთვე მათი შენახვა ვიდრე სასწავლებლებში მიაბარებდენ. ამ საზოგადოებას ნება ეძლევა დაიარსოს მთელ კავკასიაში მოსამზადებელი სკოლები და პანსიონები, მოაწყოს სასოფლო სამეურნეო ფერმები, ხელოსნების სანერგეები. ბოსტნეულები და სხვა და სხვა ეკონომიური დაწესებულებანი, გამართოს ხელის მოწერა ფულის შეგროვებაზე, კონცერტები წარმოდგენები, ლექციები ბაზრები და სხვა გასართობები. ამ სკოლებში მიღებულ იქნებიან აგრეთვე შეძლებულ მშობლების შვილებიც მხოლოდ განსაზღვრულ ფასით. ამ ჟამად, ვინაიდან ეს ახალი საზოგადოება ყოვლად უსახსროა, ბარონესსას მიზნადა აქვს მიმართოს ქართველ თავად-აზნაურობას, რომელიც უფრო მეტად საჭიროებს ამნაირ დაწესებულებაში. ამ საქმის თანამგრძნობელმა უნდა მიმართოს თ-დ ქ. ნ. აფხაზს, ალ. ბ. ჭიჭინაძეს და თვით ბარონესას საკუთარ აგარაკში წერილობით კისლოვოდსკში.

**ანდერძის განსაჩივრება.** როგორც ვიცით, ნ. ა. ბეგთაბეგოვისამ თბილისის ქალაქის თვითმართველობას უანდერძა თავისი უძრავ-მოძრავი ქონება, დაახლოებით ნახევარ მილიონ მანეთამდე ღირებული. ეხლა, როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, განსვენებულის მახლობელი ნათესავები, საცა ჯერ არს, საჩივრის შეტანას აპირებენ ამ ანდერძის იმ ნაწილის გამო, რომელიც უძრავ ქონებას შეეხება. საბუთი საჩივრისა, როგორც მომჩივნები ამტკიცებენ, ის არის, რომ ნაანდერძევი მამული მამაპაპეულია და ნ. ბეგთაბეგოვისას ნება არ ჰქონდა ვისთვისმე ეანდერძებია იგი. ამასთან ერთად მომჩივნები აცხადებენ, რომ როცა ჩვენ, როგორც მემკვიდრეები განსვენებულ ნ. ბეგთაბეგოვისა, ჩავიბარებთ იღნიშნულ მამულებს, მისი ღირებულობის დიდ ნაწილს შევსწირავთ ქართულ, სომხურ და მუსულმანთა საქველმოქმედო დაწესებულებებსო.

**დიდი სეირნობა.** ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება 7 მაისს მართავს სეირნობას ლოტარეია-ალეგრით ჭრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ, არტისტიულ საზ. საზაფხულო ბინაზე. ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა და დუდუკი, იქნება პროჟექტორი და სხვა მრავალი გასართობი ბავშვებისთვის. იმედია ქართველი საზოგადოება არ დაიშურებს თავის წვლილს და სიამოვნებით დაესწრება ამ სეირნობას.

**სასწავლებლებში.** ვაჟთა მესამე გიმნაზია დაამთავრა სულ 39 მოწაფემ მათ შორის სამმა ქართველმა: ნიკოლოზ ალბუთაშვილმა, სერგო გაგლოშვილმა და პავლე გრიგოლაშვილმა.

— ვაჟთა მეექვსე გიმნაზია დაამთავრა სულ 22 მოწაფემ მათ შორის სამმა ქართველმა: დავით გიორგაძემ, ნიკოლოზ გოგობერიძემ და ვარლამ მდინარაძემ.

— ვაჟთა მეოთხე გიმნაზია დაამთავრა სულ 31 მოწაფემ მათ შორის რვა ქართველმა: მირაბ ვაჩნაძემ, გიორგი მამაცაშვილმა, მიხეილ მაჭავარიანმა, ალექს: სილოხაძემ, ალექს. სუმბათაშვილმა და ალექს. სეფაშვილმა.

— ვაჟთა მეხუთე გიმნაზია დაამთავრა 20 მოწაფემ მათ შორის ორმა ქართველმა: გობრონ ციცქიშვილმა (ოქროს მედალით) და მიხეილ დავითაშვილმა.

**ჭლექთან მებრძოლ** კავკასიის საზოგადოების გამგეობამ, კნ. ა. ა. ამილახვარისაგან გორიდან 626 მანეთი მიიღო, რომელიც გვირილობის დღეს შეუგროვებია პატივცემულ კნეინას.

**საქონლის ხორცის ფასები.** საყასბოში საგანგებოდ დაკლულ საქონლის ხორცის ფასი გამოირკვა შემდეგ ფასებში: ძროხისა ჯდება გირვანქა $35^{1}/_{2}$ კაპ., ხოლო ცხვრისა 33 კ.

**კრების გადადება.** სომეხთა საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება, რომელიც 10 მაისს უნდა შემდგარიყო პეტროგრადში, სხვა დროისთვის გადაიდვა, რადგან თბილისის ორგანიზაციები ჯერ არ ყოფილან ამ კრებისთვის მომზადებული.

**სავაჭრო-სამრეწველო არტელი.** ახლად დაარსებულ სავაჭრო-სამრეწველო საბირჟო არტელმა უკვე დაიწყო წინასწარი მუშაობა. არტელში ორთავე სქესის პირთ შეუძლიანთ ჩაწერა. საწევრო გადასახადი 403 მანეთი, შეტანილ უნდა იქმნეს თბილ. სავაჭრო ბანკში. წარმომადგენლად არტელისა თბილისში ბ-ნი ს. ი. ქურქჩიშვილია, რომელთანაც შეიძლება წევრად ჩაწერა (რაზეკის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლთან სახლი № 2 სასტუმრო „რადიანტში"). ფაქტიურად არტელის მოქმედების დაწყების შემდეგ არტელში ჩასაწერი საწევრო გადასახადი ეღირება 1300 მანეთი. არტელი მოვალეა თვის წევრათ უშოვოს ალაგები მთავრობის, სამოქალაქო, კერძო, სავაჭრო-სამრეწველო და სხვა დაწესებულებებში. არტელის წესდების გაგზავნა შეიძლება მოითხოვონ წარმომადგენლისგან სამი ორშაურიან მარკის გამოგზავნით.

**ქართულმა საქველმოქმედო** საზოგადოების გამგეობამ მათ უმაღლესობის დიდ მთავრინა ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობის კომიტეტისაგან 11 ათასი მანეთი მიიღო. ამ თანხიდან 2 ათასი მანათი ს. ხულოში (ბათომის ოლქი), ამბულატორიის შესანახად, გადასდო 8 ათასი მანათი ლტოლვილთა ბავშვთათვის 4 სკოლის დასაარსებლად და ასი თუმანი იმ ლტოლვილთა სასარგებლოდ, რომელთაც მუშათა სკოლებში შეაფარეს თავი.

**მგოსან შიო მღვიმელის** პატივსაცემლად განზრახული დღესასწაული, რომელიც 8 ამ თვეს უნდა გამართულიყო დაბა ზესტაფონში, მგოსნის იროდიონ ევდოშვილის დაკრძალვის გამო 9 მაისისათვის გადაიდო.

**ლაზების გაჭირვება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ ვრცელი მოხსენება მიიღო სოხუმის განყოფილებისაგან შესახებ ეშერის სამამასახლისოში (გუდაუთის ნაწილი) მოსახლე ლაზების გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ. ლაზები ომის დაწყებამდე მეთამბაქოობას მისდევდენ, ეხლა კი იჯარით მიწების აღება, როგორც ოსმალეთის ქვეშევრდომთ, აღკრძალული აქვთ. ორი წელიწადია, რაც ჯანღონით სავსე ვაჟკაცები ტყვედ არიან წაყვანილნი. ვინც ტყვეობა არ მოისურვა ტყეებში იმალებიან, ასე რომ მათი ოჯახები დიდ გაჭირვებას განიცდიან. განყოფილება სთხოვს მთავარ გამგეობას აცნობოს, მთავრობის ნებადაურთველად შეიძლება მათ დახმარება აღმოეჩინოთ თუ არა.

## ბროშიურა საქართველოს შესახებ

სახელმწიფო საბჭოს წევრმა ა. მ. ერისთავმა გამოსცა ფრიად საინტერესო ბროშიურა: Вопросы экономической и духовной жизни грузинъ. ბროშურა ყოველ მხრით საგულისხმიეროა, მიუხედავად იმისა რომ ავტორს შეიძლება კაცი ბევრ რამეში არ დაეთანხმოს. გადმოვიღებთ მის ერთ ნაწილს ქართველ-რუსთა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, როგორც ეს გამოქვეყნებული იყო „Петр. Вѣд." ფურცლებზე:

„საქართველოს რუსეთთან შეერთება იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტის ძალით ემყარებოდა შემდეგს ფუძეს: „არა გაძლიერებისათვის, არა ანგარებით, ანუ საზღვრების გაფართოვებისათვის ისედაც ვრცელ ჩვენი იმპერიისა ვიღებთ ჩვენ ტვირთს საქართველოს სამეფოს მართველობისას..." აქვე აღთქმული იყო, რომ საქართველოში დამყარდებოდა „მთავრობა, რომელიც დაამყარებდა მართლმსაჯულებას, პირად და ნივთიერ უზრუნველყოფას, კანონის ძალით თვითეულ პიროვნების მფარველობას". საქართველო რუსეთს შეუერთდა თავისი პროვინციებით ერევნითა და განჯითურთ. ამ დროს ერევანში სომეხთა კათალიკოსი სცხოვრობდა, რომელიც ამ წოდებას ქართველ მეფეთა წყალობით იღებდა.

1783 წლის ტრაქტატის განკერძოებულ მუხლის ძალით რუსეთმა აღუთქვა საქართველოს, თუ კი ოდესმე ბრძოლით დაიბრუნებდა საქართველოს მიერ დაპყრობილ და შემდეგში დაკარგულ პროვინციებს, საქართველოს ტერიტორიისთვის არ გამოეწირა და ისევ მის შემადგენლობაში შეეტანა. თამარ დედოფლის მეფობის დროს კი საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრება თვით ტრაპიზონის კიდიდან ირანამდე იყო გადაშლილი, ხოროსანი, ზანჩინი, კაზმაონი და სხვები მის მოხარკეებად ითვლებოდნენ. საქართველოსვე ეკუთვნოდა სომხეთის მეტი ნაწილი. საქართველო ლაშქრობდა სირიისკენ, პალესტინისა და მესოპოტამიისკენ. ვახტანგ II 1303 წელს შევიდა იერუსალიმში. თუ მე-XV საუკ. საქართველოს ბედი არ შეტრიალებულიყო შემოსევისაგან, იქნებ მთელი მცირე აზიიის ისტორია სულ სხვა გვარი გვქონოდა დღეს.

საქართველოს ისტორია დიდებული რამ არის, როგორც დიად ბრძოლათა ისტორია. თვით რუსეთთან შეერთების შემდგომაც კი ქართველები არ ჩამორჩენილან რუსთა იარაღის გამარჯვებაში, ყოველთვის და ყოველგან ქართველები მოწინავე რაზმებში ეწერნენ, კავკასიელ ჯართა სახელით ძლევამოსილებით მიჰქროდნენ წინა!

მაგრამ რუსეთის მთავრობა ხშირად არა სასურველად ასრულებდა თავის ჰუმანიურ მეფეთა განზრახვას თავის ნებით შემოერთებულ საქართველოს წინაშე. რუსეთში მხოლოდ ორი წოდება უწყოდა: თავად-აზნაურობა და გლეხობა. აქედან გამოყოფილი იყო სასულიერო წოდება. მესამე ელემენტი არსად სჩანდა. ამის ადგილს იჭერდა სომხობა. ოცი საუკუნეა ასე მიდის საქართველოს ისტორია. საქართველოს ისტორია უფროს თავად-აზნაურთა ისტორიაა, მხოლოდ უკანასკნელი საუკუნე ხდება ამ წოდების დაქვეითებისა და გალატაკების. აი, ეს გარემოება ხელს უწყობს სომხთა ფეხის მომაგრებას. სომხობამ დიდი ხანია რაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაჰკარგა. სამაგიეროდ მოქნილი მისი ფსიხიკა მალე, ძალიან მალე შეეთვისა ახალ ცხოვრების პირობებს და ახალს უცხო მმართველ ბატონთა სახელმწიფოებრივ წყობილება თავისად გაიხადეს. სომხთა თავადაზნაურული კლასი მეტად მძიმე იყო. საქართველომ დასტური დასცა ამ წოდებას, რის გამოც შემდეგ რუსეთმაც შეიწყნარა ქართველთავე მეოხებით. საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს სომხობა უკვე მომზადებული იყო ვაჭრობა-მრეწველობისთვის.

ქართველობას მეტად უმძიმდა თავიანთ სახელმწიფოებრივ ყოფა-ცხოვრების გარეშე დადგომა. მათი ძალღონე უმთავრესად ლაშქრობაში იხარჯებოდა და დიდი ფეოდალური პერიოდი გაიარეს. ინსტიქტი თვითგამორკვევისა ღრმად იყო გამჯდარი მათს ძვალსა და რბილში. ახალმა პერიოდმა რუსეთის მფარველობის ქვეშ მათთვის უდროოდ ჩამოჰკრა ზარი. ქართველობა ამისთვის მოუმზადებელი იყო- ქართველობა ჯერ განცვიფრებით შეჰყურებდა ტლანქ რუსიფიკაციურ პოლიტიკას, რასაც პასსიურ წინააღმდეგობას უწევდნენ. სამაგიეროდ სულ სხვა იყო სომეხთა ბედი. მათ შერჩათ თავიანთ კათალიკოსი, ფართო და აუარებელი საეკლესიო ქონება ხელუხლებელი, შერჩათ სარწმუნოებრივი თავისუფლება. რაც შეეხება განათლებას, ამან ხომ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის მფარველობის ქვეშ უმწვერვალესობას მიაღწია, არსდება მათ შორის მრავალი საზოგადოება, საგანმანათლებლო, კულტურული კავშირები ფილიალ განყოფილებებითურთ. ყველა ამან ხელი შეუწყო სომხის ერის სულიერს და ეროვნულ აღორძინებას. დროებით ჩამორთმეული საეკლესიო ქონება იმავე გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის მიერ ხელუხლებლივ დაბრუნებულ იქმნა.

მაგრამ რას განიცდიდა ქართველი ერი მთელს ამ ხნის განმავლობაში? ამაზე ერისთავი დასაბუთებულს პასუხს გვაძლევს:

რუსული პოლიტიკა საქართველოში სულ მუდამ იმის ნგრევაში იყო, რაც ადგილობრივ სულიერს სიმტკიცეს შეადგენდა. უწინარეს ყოვლისა წაღებულ და გაძარცულ იქმნა საეკლესიო და სამონასტრო ქონება. გალატაკებული სამღვდელოება გათახსირების გზას დაადგა. მასთან ერთად გაიძარცვა და სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა თვით ეკლესია-მონასტრების განთქმული ძველი ლამაზი შეხედულობა. საუცხოვო განთქმული სიძველე საქართველოსი ნგრევას მიეცა. აი, ამიტომაა, რომ დღეს ქართული ხელოვნება მეტად და მეტად სავალალო სანახაობას წარმოადგენს. აქა-იქ გხვდებათ ნაშთნი და ნანგრევნი, რომელნიც უთუოდ მოგითხრობენ ძველს, ოდესღაც ყოფილ მშვენიერებაზე. სასულიერო წოდებამ დაივიწყა თავისი სიწმიდე. რაც რომ გადარჩა მტრის ხელს, ახლა სინესტისა, სირეგვნისა და უმეცრების მსხვერპლი გახდა. საუცხოვო ფრესკები ჰქრება, წმიდათა ხატები ცვივა ან და რეგვენთა მიერ თეთრ კირით ითხუპნება და ილესება. თვით მცხეთის განთქმული ტაძარი, რომელიც ორჯელ შემუსვრილ იქმნა მტრის ხელით, მაგრამ ორჯელვე ერის გენიის მიერ აღდგენილ იქმნა, დღეს მხოლოდ სიბრალულს იწვევს ძველი აღტაცების ნაცვლად. რელიგიური სიცოცხლე ჩაკვდა, ჩანაცრდა. წმიდა ნინოს ჯვრით მოქცეული ქვეყანა ტლანქ, ათეისტურ მოძღვრებათა თავშესაფარი გახდა. ხალხს ინტელიგენცია გაეთიშა, გადაგვარების გზას დაადგა ეს უკანასკნელი და ერთად-ერთ ეგოიზმის მსხვერპლი გახდა. აი, რა სიკეთე მოუტანა ქართველებს საეკლესიო საუნჯეთა გატაცებამ და დაკარგვამ.

ეკლესიის დაცემის შემდეგ ხელი მიჰყვეს თავად-აზნაურობისა და მამულების განადგურებას. ძველი სამეფო და თავადთა საგვარეულო პირველად წინააღმდეგობას ვერ უწევდა უცხო და ახალ სახელმწიფოებრივ წესწყობილების შემოტანას. სამწუხაროდ ყველა ეს დაკისრებული ჰქონდათ სრულიად უვიც, უსირცხო. გამყიდველ და ვერაგ მოხელეებს. მეფეთა შთამომავალნი და თავადობა აბუჩად იქმნა აგდებული თავხედ მოხელეთა მიერ. მათ ასახლებდნენ შიდა გუბერნიებში, ხოლო მათს ქონებას და მამულს სახელმწიფო ხაზინას აძლევდნენ. მამულებისა და ქონების კონფისკაციას ახდენდნენ ხშირად ვითომც იმიტომ, რომ ესენი მეამბოხენი არიანო. ასე, მაგალითად, 1820 წელს სახაზინო ქონებად გადავიდა იმერეთის მთავართა ქონება. აბაშიძეებისა, წილუკიძეებისა, იაშვილებისა. შემდეგში სასჯელი შემსუბუქებულ იქმნა. დასჯილთა შთამომავლობას ნაწილი მამულებისა დაუბრუნდათ. საზოგადოდ კი უნდა ითქვას, რომ მრავალი, დიახაც, მრავლით მრავალი ქართველის ძვლები ჩაიყარა სამშობლოს გარეშე, რუსეთის ჩრდილოეთით, სწორედ ამ ახალი სახელმწიფოებრივ წესწყობილების გამო, რომლის სიმძიმე წისქვილის ქვების თანასწორი იყო.

(დასასრული იქნება)

## საერობო თათბირი

3 მაისი.

(გაგრძელება)

**ლეხნიაკი დ.** აცნობს კრებას **ქუთაისის გუბერნიის** საერობო თანხის მდგომარეობას, ყველა მაზრები თავს შეინახავენ, მხოლოდ ლეჩხუმის, რაჭის და ოზურგეთის მაზრას დასჭირდება საგუბერნიო ერობის დახმარებაო. კენჭს უყრიან და ერთხმად აღიარებენ, რომ ქუთაისის გუბერნიაში შემოღებულ იქმნეს საგუბერნიო და სამაზრო ერობები.

**ბაქოს** გუბერნიის შესახებ კრება ერთხმად ადგენს ერობის შემოღების საჭიროებას გუბერნიაში და ყველა მაზრებში.

**ერევნის** გუბერნიის შესახებ საფინანსო კომისიის აზრია, რომ ეს გუბერნია ერობას სავსებით შეინახავს.

**დოლუხანოვი** აცხადებს, რომ უმცირესობის აზრით, განჯის და ერევნის გუბერნიებში შემოღებული უნდა იქმნას არა სამაზრო, არამედ სარაიონო ერობა. ამისთვის ჩვენ თავს ვიჭერთ და კენჭის ყრაში მონაწილეობას არ ვიღებთო.

**არუთიუნოვი ს. ს.** თხოულობს, რომ ამ გუბერნიების შესახებ კენჭის ყრა უნდა იყვეს არა ისეთი, როგორც სხვა გუბერნიების შესახებ, არამედ ცალცალკე საგუბერნიო, სამაზრო თუ სარაიონო ერობაზედ.

**ტოფჩიბაშევი** ამას არ ეთანხმება და ამბობს, რომ სარაიონო ერობა კრებამ უკვე უარყოვო.

სხდომა შეწყდა 15 წუთით.

**თავმჯდომარე** აცხადებს, რომ თანახმად მის უმაღლესობის მეფის ნაცვლის სურვილისა კრებას მოხსენდება დასაბუთებული აზრი, როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის.

კრებას მოხსენდა უმრავლესობის აზრი, რომელიც მოითხოვს სამაზრო და საგუბერნიო ერობას, ამ მოთხოვნილებას უმრავლესობა იმით ასაბუთებს, რომ ეს ადმინისტრაციული ერთეულები რუსეთში ერობას საფუძვლად უკვე ნახევარი საუკუნე უდევსო და იქ აროდეს არ წამოყენებულა საკითხი მის წინააღმდეგ საგრონომიო რაიონების მიღება შექმნის ისეთს მდგომარეობას, როდესაც ერთი საერობო ერთეული ორ სამაზრო ადმინისტრაციაზე იქნება დამოკიდებული და სხვ.

**უმცირესობა** ეხლანდელ ადმინისტრაციულ დანაწილებას—გუბერნიებად და მაზრებად აღიარებს არა ბუნებრივად და მოითხოვს, რომ ერობა აშენდეს ისეთს ერთეულ ერზედ, რომელიც უფრო ერთგვარი იქნება ეკონომიურად და ეთნოგრაფიულად. უმცირესობა უმთავრესად ეხება განჯის და ერევნის გუბერნიას და მოითხოვს, რომ აქ ერობა დაიყოს ზონებად—მთიანად, საშუალო და დაბლობად, თანახმად ეხლანდელ აგრონომიულ რაიონებისა.

**ვერმიშევი** სიტყვაზედ უარს ამბობს —რაც მე მინდოდა მეთქვა—უმცირესობის მოხსენებაშიდაა.

**ზურაბიშვილი ი. ი.** აღნიშნავს, რომ უმცირესობის მოსაზრებები უკვე სექციაში განიხილე და ეხლა არ ვცნობთ საჭიროთ მისი ხელმეორედ განხილვას.

**თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი** გუბერნიების დანაწილებას მთიან, საშუალო და მდაბლობის ზონებად შეუძლებლად და მოუხერხებლად სცნობს. მას მოჰყავს მეფის ნაცვალის საბჭოს ჟურნალიდან ციტაატა, რომელიც ადასტურებს, რომ სააგრონომიო რაიონების შემოღება ნაყოფი სრულებით არ იყო ქვეყნის ეკონომიური და აგრონომიური შესწავლის-

**ვერმიშევი ხ. ა.** იცავს უმცირესობის წინადადებას და ამტკიცებს, რომ განჯის და ერევნის გუბერნიებში სამაზრო ერობების ნაცვლად უნდა შემოღებულ იქმნას ერობა სააგრონომიო რაიონების მიხედვითო, ეს დანაწილება ამასთანავე ეთნოგრაფიულ პირობებს ეთანხმებაო.

**იუსუპენკო ა. ი.** როგორც ბესარაბიის მცხოვრები ადასტურებს, რომ ეს კუთხე ამიერ კავკასიას ძლიერ ჰგავს და იქ სამაზრო და საგუბერნიო ერობა ძლიერ კარგად მოღვაწეობსო. იქ სცხოვრობენ მოლდავანები, რუსები, მუსულმანები გერმანელი კოლონისტები და ბოშები (ციგნები) და მიუხედავად ამისა, იქ არავის არ მოსვლია აზრად ერობის განაწილება ეთნოგრაფიულ პირობების მიხედვითო.

**ტოპჩიბაშევი ალი მარდან ბეგი.** ეკამათება უმცირესობას და ამტკიცებს, რომ აგრონომიული რაიონები წამოყენებულია იმ აზრით, რომ ერობა დაემყაროს ეტნოგრაფიულ დანაწილებას და შეაეროოს საერობო დაწესებულებებში განსაკუთრებული ეროვნებანი, რაც უკვე ერობის მიზანს გარეშე უდგას.

**სააკოვი ა.** საგრონომიო რაიონებს იცავს და არწმუნებს კრებას, რომ ეროვნული ერობის შექმნის სურვილი არ აქვს უმცირესობას, ვინაიდან ერობა ეკონომიური ხასიათის ორგანიზაცია უნდა იყვესო, მე მიკვირს, რომ ჩემი კოლლეგა იუსუპენკო ასეთს რამეს გვწამებს ჩვენო.

კენჭის ყრით დიდი უმრავლესობა 21 ხმის წინააღმდეგ კრება ადგენს, რომ ერევნის გუბერნიაში შემოღებულ იქმნეს არა სარაიონო, არამედ სამაზრო და საგუბერნიო ერობა.

**განჯის** გუბერნიის შესახებაც ამავე ხმებით მიღებული იქმნა სამაზრო და საგუბერნიო ერობა.

**დაღესტნის ოლქის** შესახებ საფინანსო კომისია აღნიშნავს, რომ დაღესტანი თავის საერობო ბიუჯეტით თავს ვერ შეინახავს და მათთვის რამე სხვა საშუალება უნდა გამოიძებნოსო. კრება ერთხმად ადგენს, რომ დაღესტანში შემოღებულ იქმნეს ერთი საგუბერნიო და სამი სამაზრო ერობა.

**ბათომის ოლქის** შესახებ საფინანსო კომისია შესაძლებლად სცნობს ერთი საოლქო და ორი სამაზრო ერობის შემოღებას. კრება ერთხმად იღებს ამ წინადადებას.

**შავი ზღვის სანაპირო გუბერნიაში** დაადგინეს ერთი საგუბერნიო და სამი სამაზრო ერობის შემოღება.

**ყარსის ოლქში** დადგინდა ერთი საგუბერნიო და ორი სამაზრო ერობის შემოღება.

**სოხუმის ოლქის** შესახებ კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომ სოხუმის ოლქში შემოღებულ იქმნეს ორი სამაზრო და ერთი საგუბერნიო ერობა.

ერობის კომპეტენციის შესახებ კრება ერთხმად ღებულობს სექციის დადგენილებას, რომ ამიერ კავკასიის ერობას ისეთივე კომპენტენციები ექმნეს, როგორც რუსეთის და ყოველგვარი ცვლილება იქ მომხდარი ჩვენზედაც გავრცელდეს. კრება დაიხურა ღამის 12 საათზედ.

4 მაისი.

**II სექციის კრება.** თავმჯდომარეობს **თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი.** კრება განაგრძობს საერობო თვითმართველობის არჩევნებში მონაწილეობის საკითხს.

**თავ. დ. ო. ნიჟარაძე** მიაქცევს კრების ყურადღებას იმ მოვლენას, რომ ჩვენს ქვეყანაში მრავლად სცხოვრობენ ებრაელები, რომელთაც ჩარიცხვა რუსეთის უფლებრივად შეზღუდულ ებრაელთა კატეგორიაში ორატორის აზრით უსამართლობა იქმნებოდა. ეს ებრაელები მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სცხოვრობენ ჩვენს ქვეყანაში და წარსულში ისინი იხდიდენ ყოველგვარ ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე და მრავალი მათგანი, როგორც მაგალითად ქუთაისის ებრაელები, მონასტრების საკუთრებას შეადგენდნენო. ჩვენი ქვეყნის ებრაელებს უკანასკნელ ხანში მიეცა ნება ქალაქის თვითმართველობაში მონაწილეობისა. თუმცა არა სავსებით, ორატორი წინადადებას აძლევს კრებას გამოთქვას სექციამ სურვილი, რომ ადგილობრივ ებრაელებს ერობაში მონაწილეობის უფლება მიენიჭოთ.

**ირეცკოი, თოპჩიბაშევი, რუდოლფი, ჟურული** და სხ. უერთდებიან ამ წინადადებას და სექცია მას ერთხმად ღებულობს. კრება იხილავს კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსის **რუდოლფის წინადადებას,** რომ მიღებულ იქმნეს დადგენილება, რათა გუბერნიის და მაზრის ერობებში სრული უფლებით მოწვეულ იქმნას სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელი.

**დეკანოზ გოროდეცკის** შეაქვს ასეთივე წინადადება სასულიერო სასწავლებლის უწყებისთვის.

**დოლუხანოვი, ჟურული** და სხ. ამის წინააღმდეგი არიან და კრება ამ წინადადებებს არ იწყნარებს.

კრებას მოხსენდა **კავკასიის ქალთა** საზოგადოების განცხადება იმის შესახებ, რომ საერობო თათბირმა გამოიტანოს დადგენილება შესახებ ქალთა სქესის პირადი მონაწილეობის ყოველგვარ საერობო საქმეში.

**ვ. რცხილაძე** და სხ. ამტკიცებენ, რომ ეს საკითხი სცილდება თათბირისთვის დაწესებულ ფარგლებს და კრებაც აღიარებს რომ სასურველია კავკასიის ქალებს მიეცეთ სრული უფლებები საერობო საქმეებში, როცა ეს რუსეთის კანონმდებლობის მიერ მიღებული იქნება რუსეთის ერობებში.

**თავ. ს. გ. მიქელაძე** ვინაიდან სექციას ქუთაისის გუბერნიისთვის არ დაუწესებია საარჩევნო ცენზის რაოდენობა, საჭიროა ამას დაუბრუნდეთ და ცენზის რაოდენობა შევიმუშავოთო, ორატორი ამტკიცებს, რომ ამ საკითხის შესახებ კამათი უკანონოდ შესწყდა, ვინაიდან კრებას ამის შესახებ არავითარი დადგენილება არ გამოუტანიაო.

**გ. მ. ლასხიშვილი**—უერთდება ამ წინადადებას და მოითხოვს, რომ საკითხი ცენზის რაოდენობის შესახებ უთუოდ გადასწყდეს ამ კრებაზედ.

**ტერ-მიქელიანცი** — შეუძლებლად სცნობს გადაწყვეტილი საკითხის ხელახლა დაბრუნებას.

**ფ. გ. გოგიჩაიშვილი**—აღნიშნავს, რომ ცენზის საკითხის გადაჭრა საერთო ფორმულებით და ფრაზებით არ შეიძლება, საჭიროა ამისთვის საბუთედა მასალა, თორემ ისე ჩვენ გადაწყვეტილებას არაფერი ფასი არ ექმნება.

**ს. გ. მდივანიც** აღიარებს ამ საკითხის მნიშვნელობას და საჭიროდ სცნობს მის განხილვას ან სექციაში ან ამორჩეულ კომისიის შემწეობით. მდივანი ჰკითხულობს ამის შესახებ კრების ოქმს, მაგრამ კრების ერთს ნაწილს ეს არ აკმაყოფილებს და მოითხოვენ კომისიის არჩევანს ცენზის რაოდენობის გადასაჭრელად ან საკითხის სექციაში გარჩევას.

**ა. ს. ახათიანი.** ცენზის რაოდენობის გადაჭრა სრულებითაც არ შეუტანია უმაღლეს მთავრობას თათბირის წესრიგში და ეს ჩვენთვის სავალდებულო არ არის მით უმეტეს, რომ საარჩევნო ცენზის საფუძველი უკვე მივიღეთ და რაოდენობის გამორკვევა თითოეულ გუბერნიისთვის ასეთის მასალით და ასე ნაჩქარევად შეუძლებელია. ორატორი წინადადებას იძლევა დაკმაყოფილდეს კრება საერთო დადგენილებით რაც შეიძლება მცირე ცენზის შემოღების შესახებ და გუბერნიების წარმომადგენლები თუ შეიმუშავებენ ცენზის რაოდენობის თათბირის საქმეებში იქმნეს შეტანილიო.

ამ წინადადებას კრება დიდი უმრავლესობით ღებულობს.

**კ. ა. ირეცკოი.** დაწვრილებით იხილავს არჩევნების საკითხს მომავალ საერობო ერთეულში და მოითხოვს რომ სამაზრო ერობისთვის უთუოდ მიღებულ იქმნეს პროპორციონალი წარმომადგენლობა. ოთხი უმთავრესი ეროვნება—ქართველობა, რუსობა, მუსულმანობა და სომხობა თუ ამ ერთეულებში წარმოდგენილი არ იქმნა თანახმად მათი რაოდენობისა, ისე ერობის მუშაობა არ იქნება მშვიდობიანი და წესიერიო.

(შემდეგი იქნება)

## გორის სასოფ. სამეურნეო საზოგადოების კრება

26 აპრილს ქ. გორში თვითმართველობის დარბაზში მოხდა გორის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების არა ჩვეულებრივი კრება. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: საბჭოს მოხსენება მომავალ ერობის შემოღების შესახებ, ამორჩევა სამი პირისა ქართულ-კულტურულ განმანათლებელ საზოგადო კავშირში და მორიგი საკითხი.

54 წევრიდგან კრებას დაესწრო 25 წევრი. თავმჯდომარე ი. ქურდიანმა წინადადება მისცა კრებას აირჩიოს 3 კაცი ქართულ კულტურულ განმანათლებელ კავშირში. ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ ქურდიანი, რომელმაც მიიღო 17 ხმა, შალვა ქარუმიძე—14 ხმა და სვიმონ მაჭავარიანი —12 ხმა. კანდიდატებათ იქმნენ არჩეულნი ზ. ქიტიაშვილი და თ-დი რევაზ ერისთავი.

არჩევნების შემდეგ ზ. ზაქარია ქიტიაშვილმა მოკლე, მაგრამ შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა მომავალ ერობის შესახებ, მის შემდეგ გორის მაზრის მარშალმა თ-დ რ. ერისთავმა გააცნო კრებას, თუ როგორი ტიპის ერობა იყო მიღებული ქ. თბილისში თავად-აზნაურთაგან.

შემდეგ შალვა ქარუმიძემ სხვათა შორის განაცხადა, რომ თუმცა იგი არჩეული იყო, ქ. თბილისში ერობის თათბირძე დასასწრებათ, მაგრამ არ დაამტკიცეს.

ქურდიანმა აუხსნა კრებას საშინელი მდგომარეობა გორის მაზრის მე-

ვენახეთა და სთხოვა გამოეთქვათ თავისი აზრი ამის შესახებ.

კრებამ დაადგინა მოუწოდოს გორის მაზრის ყველა კოოპერატიულ დაწესებულებათა, რათა მათ დააარსონ გორის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან ერთათ კავშირი, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს გორის მაზრის მეურნენი შემდეგისთვის შაბიამნით და აგრეთვე ყოველივე წამლით.

დასასრულ საბჭომ აუხსნა კრებას, რომ შაბიამანისთვის, საცდელ მინდვრების, სანერგის მოწყობისთვის და სხ. საჭიროა ფული და სთხოვა მისცეს ნება ისესხოს ფული რომელიმე ბანკიდგან. კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა საბჭოს მიეცეს ნება ისესხოს ფული გორის ბანკიდგან და თბილისის სასოფლო სამეურნეოს საზოგადოების ბანკიდგან.

ამის შემდეგ კრებამ მადლობა გამოუცხადა საბჭოს მუშაობისთვის და კრება დაიხურა.

კან—იძე.

## თამარობა გორში

1 მაისს ქ. გორში თამარის ხსოვნის პატივსაცემლად გაიმართა სალამო. საყურადღებო და ფრიად სასიამოვნოა ის მოვლენა, რომ გორის საზოგადოება შეხვდა ამ სალამოს თანაგრძნობით. ბილეთები ერთი დღის წინად სულ გაიყიდა, ბევრი დაბრუნდა შინ გულმოკლული უალაგობის გამო. სალამომაც ჩინებულად ჩაიარა. დიდად მადლობელნი უნდა ვიყვეთ ქ-ნ ცქვიტის და ბერეჟიანისა, რომლებმაც არ დაზოგეს ძალა და ღონე, რომ სალამო შესაფერად მოეწყოთ.

მგრძნობიარე და შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ჩვენმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ნ. შიუკაშვილმა ქართული ენის მასწავლებელმა გორის სასტატო სემინარიაში, ბ. კ. არველაძემ წაიკითხა ვრცელი ლექცია, რომელშიაც მკაფიოდ და ნათლად დაგვიხატა თამარ მეფის ეპოქა. წაიკითხეს პატარა მოთხრობები თ. რაზიკაშვილმა და ქ-ნმა ცქვიტმა, რომლებმაც გამოიწვიეს საზოგადოების მხურვალე აღფრთოვანება. ბ-ნმა დ. ონიაშვილმა წაიკითხა საკუთარი ნაწარმოები. „თამარის აჩრდილი“, რომლითაც საზოგადოება ძალიან ასიამოვნა და რომელშიაც მკაფიოდ სჩანს ავტორის სატირიული ნიჭი. სთქვეს ლექსები მგრძნობიარედ რომანიშვილმა და ხუციშვილმა, რომლებიც საზოგადოებამ დააჯილდოვა მხურვალე ტაშით.

დიდი მადლობელი ვართ ბ. ე. ხუციშვილისა, რომელმაც დაატკბო საზოგადოების სმენა ხელოვნურად შესრულებულ ქართული სიმღერებით. იყო ნაჩვენები ცოცხალი სურათი: „შოთა უძღვნის თამარს „ვეფხის ტყაოსანს“. საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა, არ უნდოდა თვალი მოეშორებინათ ამ მშვენიერის სანახაობისთვის.

ბოლოს გაიმართა ცეკვა,

2 საათზე მხიარული და მადლობელი საზოგადოება დაიშალა.

ელი

## წერილი თელავიდან

(თამარის დღე)

მეთორმეტე საუკუნის ოქროს სხივებს გაბრწყინვება აღარ სჭირია. ეს თავისთავად უკვდავი წყაროა, რომელსაც ეწაფება ნებსით თუ უნებლიეთ ყოველივე ქართველი. მაგრამ მეტად საგულისხმიეროა, რომ ქართველი ხალხი თავის ცხოვრებას ამ ყოველ მხრივ სრულ სახეს იხსენიებს სწორედ მაშინ, როდესაც ვარდ-ყვავილებით შემკული, სიკვდილზედ გამარჯვებული ბუნება, ყოველ სულდგმულს სიცოცხლისკენ მოუწოდებს.

ჭეშმარიტად პირველი მაისი, მეტად შერჩეული და შესაფერი დღეა ამ დღესასწაულისთვის. მისი სხივები უფრო ღრმად სწვდება. სასომიხდილ ქართველის გულს და სიცოცხლის ძალა უფრო მძლავრად სჩქეფს მის მოდუნებულ ძარღვებში. აი ასეთი ძლიერი გამოღვიძების ელფერი ჰქონდა პირველ მაისობას თელავში. იგი იყო სადა თავისი პროგრამით. ყოველნაირი საზეიმო გარეგნობა, მას ჩამოშორებული ჰქონდა, მაგრამ უქმის სიდიადეს ჰქმნიდა მთელ ხალხის ერთსულოვანი და გულწრფელი მონაწილეობა. დღესასწაული დაიწყო წირვით ღვთაების ეკლესიაში; მწირველი იყო პიროსი ალავერდის ეპისკოპოსი. აქედან ხალხი, ეპისკოპოსის თაოსნობით, დროშებით და თამარის ხატით გაემართა ლიტანიით ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისკენ. აქ, ეკლესიის გალავანში, თამარის სურათის წინ, რომელიც ყვავილებით და დაფნის ფოთლით იყო მორთული, ეპისკოპოსმა მიჰმართა ხალხს სიტყვით, სადაც განმარტა თამარის დღის მნიშვნელობა. ამას მოჰყვა პარაკლისი და შემდგომ დღის შესაფერი სიტყვები. ამით გათავდა დღესასწაული. შემდეგ ხალხი დაიშალა „თამარის დროშა გაშალეს“ და სხვა სიმღერებით.

საგულისხმიეროა და მეტად სასიამოვნო რომ უქმის მოწყობაში დიდ მონაწილეობას იღებდა მდაბიო ხალხი, მუშები და ხელოსნები. ეს თავდებია იმისი რომ ქართველმა ხალხმა აუღო ალღო თავის ცხოვრებას და დიდებულ პიროვნების მოგონებით იგი ადიდებდა და თაყვანსა სცემდა იმ მომწიფებულ ეროვნულ შეგნებას, რომელმაც ამ შვიდასი წლის წინად შეჰქმნა ოქროს ხანა და მომავალშიაც თავისი სიტყვა კიდევ აქვს სათქმელი.

განზრახული იყო ამგვარივე უქმის მოწყობა წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში, მაგრამ განზრახვა, განზრახვად დარჩა, რადგანაც წიაღსა მისსა შინა აღმოჩნდნენ იმისთანა პირნი, რომელთა გულს და კარიერას ეს ქართველთა დღესასწაული არაფერს ეუბნება, ან იმ ღმერთს, რომელთაც ისინი გუნდრუკს უკმევენ, თამარის სახელი ჩრდილავს და შეურაცხყოფას აყენებს. მიუხედავად ამისა უქმეს თავისი სიდიადე ოდნავაც არ დაუკარგავს და ყველა დამსწრეს გულში ამ დღემ იმედი მომავლისა ღრმად და სამუდამოდ ჩაუსახა.

Georgien.

## გურიის შთაბეჭდილებანი

პრაქტიკული მუშაობა. ახალი საქმე და ახალი სიტყვა. ერობის მოლოდინში.

სოფელი თვითმოქმედების გზას ადგება. ის თვით იკაფავს გზას სახალხო კეთილდღეობისა და ეროვნულ დოვლათის შეძენა-განმტკიცებისაკენ. ამ ზოგად აზრებს ფრთებს შეასხამს არა ერთი და ორი მაგალითი ქართლ-კახეთ იმერეთის სოფლის აწინდელ ცხოვრებისა. წინად ომის დაწყებამდეც სწარმოებდა საქართველოში ასეთი მუშაობა, მაგრამ დღეს განსაკუთრებული მხნეობითა და გარდაწყვეტილებით ებრძვის სოფელი გარემომდგარ გაჭირვებას, ხშირად ილაჯ გაწყვეტილი ოფლში იწურება, მაგრამ საბოლოო აღორძინების იმედი მაინც შერჩენია და ეს გარემოებაა რომ ასხივოსნებს და აკეთილშობილებს მის ყოველდღიურ, ხშირად უფერულ, ხოლო საერთოდ შინაარსიან ცხოვრებას.

ასეთს იმედსა და მომავლის რწმენაში გამოკვანძულია ბედი ჩვენი ხალხისა და სხვა რაღა დაგვრჩენია, ხელი შევუწყოთ ფაქიზი გრძნობით შეზავებულ რწმენის კიდევ უფრო გაღვივებას, რომ ამით კაცობრიობის უსაშინელესმა განცდამ არ ჩაგვნთქას და ისტორიული მოგონების უბრალო მასალა არ გახდეს ხვედრი ჩვენი პატარა სამშობლოსი.

სწორედ ასეთ ფიქრებსა და იმედებს აღუძრავს თვითეულ ჩვენთაგანს აწინდელი სოფლის ყოფა-მდგომარეობაში ზერელედ ჩახედვაც. პატარა საქმეები, რომელნიც წინად სათაკილოდ მნაჩნდათ, დღეს მოქმედების ქვაკუთხედად გამხდარა. „ან ყველაფერი, ან არაფერი“,—ეს მაქსიმალური მოთხოვნა შეუცვლია პრაქტიკულ მუშაობას „პატარა საქმეების“ გარშემო, დარწმუნებულნი, რომ რუ-მდინარეები ერთ დროს დიდ ოკეანე-ზღვად იქცევა. ვისაც უნახავს ამ 10—12 წლის წინად ბობოქარი მღელვარე გურია, ვისაც შემთხვევა ჰქონდა გასცნობოდა გურის მოძრაობის ხასიათს, ის გაკვირვებით შესდგება მშვენიერი სანახაობის წინაშე, რომელიც ძალუმად და შინაარსიან პრაქტიკულ მუშაობაში გამოიხატება. გურიაში სწორედ ამ ბობოქარ ხანის შემდეგ დაიწყო განსაკუთრებით საკულტურო მუშაობა. მთელი გურია აღმოსავლიდან დასავლამდე მოფენილია სკოლებით. აქ ამ პატარა მაზრაში, სინამდვილეში განხორციელებულია საყოველთაო სწავლების პრინციპი. სასკოლო ჰასაკის ყმაწვილი სახლში აღარ რჩება. ბოლო დროს, რაკი შემთხვევა მიეცათ, მაგრად ჩასჭიდეს ხელი უმაღლეს პირველდაწყებით სასწვლებლის დაარსების აზრს და უკვე ოთხ ადგილას გახსნეს, მართალია, ქართული ენის სწავლების საქმე და თავისთავადაც ქვეყნის ნამდვილ არსებით საჭიროებებს ვერ შეეფერება, მაგრამ თვით მომქმედი ხალხი ასეთ დაბრკოლებას დასძლევს და, სადაც ჯერ არს, იშუამდგომლებს, რომ ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე გახსნილ სახაზინო სკოლაში მშობლიური ენის უფლება აბუჩად არ იყოს აგდებული!.

დიადია შემოქმედება გურულებისა, სწავლა-აღზრდის საქმეში, მაგრამ არა ნაკლებ დიდია სურვილი, რომ წმინდა კულტურულ საქმეების გვერდით ქვეყნის ეკონომიურ კეთილდღეობის საქმეც განმტკიცდეს. დღეს საცილობელი აღარ არის ის აზრი, რომ სულიერი კულტურა ნიჭიერ კულტურის გარეშე ფუჭია. სწორედ კულტურის ამ ორი დარგის სწორწონილობა არ არსებობდა ამდენ ხანს გურიაში. სკოლებით და ბიბლიოთეკა-სამკითხველოებით მოფენილი გურია მეტად კოჭლობდა ნივთიერი კეთილდღეობის მხრით. წვრილი საკრედიტო ამხანაგობანი და კოოპერატივები აწესრიგებენ მხოლოდ ცხოვრების ზედაპირს, ხოლო არსებითი საკითხი — მეურნეობის ძველი წესის შეცვლა კი შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირ სამეურნეო საჭიროებათა ნიადაგზე შეკავშირებით. რას წარმოადგენს დღეს გურიის სასოფლო მეურნეობა? სიმინდს, ეს უკვე 10 წელიწადია, რაც პეპლა უჩნდება ზაფხულობით, თვით მისი კულტურა კი მეტად დაძველდა, ასე რომ აუცილებელი ხდება სრულიად ახალი კულტურის შემოღება, ან სიმინდის ჯიშის შერჩევა, თორემ თავისთავად უყუათო და ნაკლებ შემრგო ჩვენი მჭადი მეტად ცუდ მომავალს უმზადებს ხალხს მოდგმის სისაღისა და საერთოდ ჯანმრთელობას. გურიაში ამ ჟამად უკვე შეგნებული აქვთ სიმინდის კულტურის თუ აშკარა მავნებლობა არა, რამდენიმე უარყოფითი მხარეები მაინც. ამიტომაცაა, რომ სწარმოებს მეტად სასარგებლო მუშაობა სხვა და სხვა დამხმარე სამეურნეო დარგების გასავრცელებლად. რგავენ მანდარინას, აშენებენ ჩაის ბუჩქს, შემოიღეს ვაზის ამერიკულ ჯიშზე დამყნობა, ამას გარდა რგავენ თხილს, დაფნას, ბჟოლის ხეს, მოჰყავთ თამბაქო, ერთი სიტყვით, ხალხმა იგრძნო არსებული მდგომარეობის სიდუხჭირე და ლამობს გაჭირვებას თავი დააღწიოს. ამ ცალცალკე გაბნეულად წარმოებულ მუშაობას უნდა შეკავშირება, გაერთიანება, ამასთან ადგილისა და ჰავის მიხედვით ამორჩევა სხვა და სხვა სამეურნეო დარგისა, თორემ ცნობილია, რომ დასავლეთ გურიაში თამბაქო და ვაზი ისე ვერ ხარობს, როგორც აღმოსავლეთში და წინააღმდეგ, ჩაის ბუჩქი და მანდარინა მხოლოდ დასავლეთის ჰავას ეგუება. რაღაც 100 ვერსის სივრცეზე ჰავის მხრით ასეთი განსხვავება სწორედ გასაოცარია, მაგრამ ეს ჰმოწმობს გურიის განსაკუთრებულ მდებარეობას. დასავლეთი ნაწილი ახლო სძევს შავ ზღვასთან და ამიტომაც ზამთარი და ზაფხული აქ მეტად ზომიერია, სამაგიეროდ ზღვიდგან დაშორებული და აჭარის მთის კალთებზე დაფენილი აღმოსავლეთი გურია ამ მხრით სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს. თუმცა ასეთი სასტიკი განსაზღვრაც ჰავისა და სამეურნეო დარგის შემოღების საქმეში ერთობ უხერხულია, რადგან ზემოაღნიშნული დარგები თითქმის საყოველთაოდაა გავრცელებული გურიაში.

დ. არონიშიძე.

(დასასრული იქნება)

## წერილი საინგილოდგან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

რაც დრო გადის თანდათან უფრო იზრდება და ღრმავდება ჩვენი გაჭირვება და ჩქარა ისეთი უფსკრულის წინ მოგვიხდება დგომა, რომლიდგანაც გასავალი არსაით იქნება. აი ეხლაც მთელი ტრაგედიაა ინგილოს გულში ვენახი შეღერებულია, მზად არის მოსაწამლად, შაბიამანი კი არსად არ იშოვება ერთი მისხალიც კი. ბედშავმა, ფრიდონოვით მოტყუებულმა, აღარ იცის რა ჰქნას, საით გაიქცეს, სად გადავარდეს, საით რა უშველოს და რა მალამო დასდოს თავისს გასაჭირს. ფრიდონოვმა, რომლისაგანაც დაკვეთილი ჰქონდა ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოებას მხოლოდ 45 ფუთი შაბიამანი გამოგვიგზავნა და ქვა მოგვაგდო. ეს შაბიამანი მომხმარებელმა საზოგადოებამ, რომ არავისა სწყენოდა თანაბრად გაუნაწილა ყველას, მაგრამ ვინ რა უნდა ჰქნას თითო გირვანქა შაბიამნით, რას უზამს ამოდენა ვენახებს. დიახ, მდგომარეობა მეტად უმწეოა, ზოგი გლეხკაცი მარტოლა მევენახეობით სცხოვრობს და აბა, რა უნდა ჰქნას საბრალო თუ ერთად ერთი მისი მარჩენელიც გამოეცალა ხელიდგან. შარშან კიდევ რა უშავდა, თუმცა ძვირად 30—40 მანეთად, მაგრამ მაინც იშოვებოდა, ეხლა კი საშოვნელიც აღარსად არის. გულხელდაკრეფილი დასცქერის გლეხკაცი თავის ნაამაგარს ვენახს და თავისს საკუთარის თვალით უნდა იხილოს თუ როგორ ელუპება სარჩო-საბადებელი. გაბრაზებულია გლეხკაცი და ხშირად გაიძახის: „გავჩეხოთ ვენახები, გავჩეხოთ“.

ასეა და ასე იქნება ვიდრე სხვის ხელში შემაცქერალნი ვართ და ჩვენ თითონ ვერ მოგვივლია და გვიწამლია ჩვენის თავისთვის. საინგილო განსაკუთრებულს მდგომარეობაშია. ამ მხრივ აქ არ მოიძებნება არც ინგილო ვაჭარი და არც ისეთი ინტელიგენტური ძალა, რომ ხალხს უხელმძღვანელოს და გზა გაუკვლიოს. ამიტომ სრულ ჩარჩ-ვაჭართა სათარეშო მოედნად არის გადაქცეული აქაურობა. ამ ომიანობამ ხომ ფრთა შეასხა მათ და რაც წინად დაჰკლებიათ, ეხლა ივსებენ და ერთი სამად მეტს ტყავს აძრობენ გლეხ-კაცობას. აი ეხლაც ხმა დააგდეს, რომ აბრეშუმის თესლი აღარ იშოვებაო და თუ ვიშოვნეთ სადმე გასასყიდი ძალიან ძვირი იქნებაო. დატრიალდნენ ჩარჩები და თითო კოლოფი თესლი 6—7 მანეთად იყიდებოდა, არც მეტად არც ნაკლებად. ასეთს პარპაშში იყვნენ ვაჭრები, რომ უცებ მომხმარებელ საზოგადოებას (საუბედუროდ გვიან) მოუვიდა აბრეშუმის თესლი და თითო კოლოფი 2 მან. 50 კაპიკად გაყიდა. ვაჭრების გაბრაზებას საზღვარი არ ჰქონდა. მაშინ მათ სხვა ხერხს მიჰმართეს და საწილედ დაიწყეს აბრეშუმის თესლის რიგება ე. ი. მოსავლის შემდეგ აბრეშუმის პარკით ერთი-ორად და სამად უნდა გასწორებოდნენ ვაჭარს. მომხმარებელმა საზოგადოებამ მათი ხერხის ასალაგმავად ნისიად დაურიგა ყველა მსურველს აბრეშუმის თესლი და ამით თვალსაჩინოდ ალაგმა ვაჭარ-ჩარჩთა თარეში.

მაგრამ საინგილოს გაჭირვება ამითი არ თავდება. მოგეხსენებათ წარსული ზამთარი რამდენად მაზარალებელი იყო მეცხვარეობა—მესაქონლეობისათვის. ხეირიანი საკვების უქონლობამ და მარადულმა სატკივარმა აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა ამ დარგს მეურნეობისას. სათქმელადაც კი ძნელია და წარმოუდგენელი ის ზარალი რაც წრევანდელმა ზამთარმა მიაყენა მეცხვარეებსა და მესაქონლეებს. ამ დღეებში საბეითალო ნაწილის განკარგულებით მოხდა აღწერა ზამთარში დაღუპულის საქონლისა. და აი რა გამოირკვა: წარსულ ზამთარში მარტო ერთ კაკის საბოქაულოში მომკვდარა სხვა და სხვა ავადმყოფობისა და უჭმელობისაგან 2.940 თავი სხვილფეხი საქონელი, 1.551 კამეჩი, 30,465 სული ცხვარი. და ეს მარტო ერთ კაკის საბოქაულოში, რომელიც საინგილოს მეოთხედს წარმოადგენს. ეჭვი არ არის რომ საინგილოს სხვა საბოქაულოებშიაც არა ნაკლები დაიხოცებოდა და აბა ეხლა თქვენ გასინჯეთ რამოდენა დიდი უნდა ყოფილიყო ზარალი მეტადრე მეცხვარეებისა. ზოგიერთ მეცხვარეს არამც თუ გაუნახევრდა-გაუმესამედდა და გაუმეოთხედდა ცხვარი. პატარა მეცხვარეები ხომ სახეში მისაღები არ არიან, ამათ თითქმის სულ დაიბანეს ხელი მეცხვარეობაზედ და ცარიელნი დარჩნენ. დიდი და არა ჩვეულებრივი ზარალი მოუვიდათ მეცხვარეებს, და სწორედ ამის გამო უფრო გაძვირდა ყველაფერი. ახალი გაზაფხულის ყველი, რომელიც წინად 2—3 მან. იყიდებოდა ფუთი ამ ჟამად 10 მ. ფასობს, ცხვრის ხორცი კი 45—50 კ. ფასობს.

მაგრამ ჩვენი გაჭირვება მარტო ამითი არ განისაზღვრება. ვერ იქნა ვერ დაახწია ხალხმა სიმშილს თავი, ვერასგზით ვერ მივაწოდეთ ხალხს საკმარისი პური იანვარში შეკვეთილი და სტავროპოლის სადგურზედ ჩაბარებული ხუთი ვაგონი ხორბლით დატვირთული ვერ იქნა და ვერ დავძარით ადგილიდან. ვის არ მივმართეთ, სად არ შევეხვეწეთ მაგრამ ვერა გვეშველა-რა. აქ ხალხი სიმშილს განიცდის და იმავე დროს-კი ჩვენი ვაგონები პურით დატვირთულნი სდგანან და შევსცქერით როდის გვეღირსება და როდის დაიძვრის ჩვენი პურიო. ვინ იცის პურის ახალმა მოსავალმა კიდევაც მოუსწროს ვიდრე ნაყიდი პური მოგვივიდეს. კერძოთ პურის მომტანი-კი არავინ არის, რადგანაც პურის ნიხრი მეტად მცირეა—2 მანეთი და 50 კაპ. ამ ფასებში-კი პურის გაყიდვა კერძო პირისათვის სახეირო არ არის.

ზ. ედილი.

## დაბა-სოფლები

სოფ. ბაკურციხე (კახეთი). შემოდგომიდგან დაწყებული თითქმის გაზაფხულამდის მშრალი ამინდები იყო. ამ გაზაფხულზე კი წვიმები დაიწყო, მაგრამ ნათესი ვერ გამოაბრუნა. სავალალო ისიც არის, რომ შაბიამანი ძლიერ ნაკლებადა გვაქვს, გოგირდი ხომ სულ არ იშოვება. აქაურმა საკრედიტო ამხანაგობამ დიდი დანაშაულობა ჩაიდინა წარსულ წელს, როდესაც შაბიამანი დაურიგა ისეთებს ვისაც ვენახები არ ჰქონდათ, მხოლოდ ამ უკანასკნელთ კი შემდეგ მოგებით გაყიდეს. წლეულს კი, როდესაც ძლიერ ნაკლებად არის და ამასთანავე ძვირიც,—გამგეობის წევრთ შეჰფერით უფრო გონივრულად მოიქცნენ შაბიამნის წესიერ განაწილებაში, ვიდრე შარშან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგინი ხალხის დამხმარე პირები კი არა, არამედ მათი პარაზიტები იქმნებიან. საერთოდ, ასეთ დროს, როდესაც შაბიამნის დიდი კრიზისია, ვიცით რაც მოგველის—სიმშილი. აი, სწორედ ეს სიმშილი იქნება ნიშანი ყოველივე ბოროტ-მოქმედების დასაწყისისა. ვინც არის მიზეზი ყოველივე ამისა, იგი სასტიკად უნდა დაისაჯოს! მაგრამ გვგონია ხსენებული ამხანაგობა საქმეს იქამდი არ მიიყვანს.

აქაური.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ დიდათ პატივცემულს ქ. ბ.ბ. კაკალა ნაკაშიძის ასულს ვოსკრესენსკისას, ეფემია კალანდაძეს, გოგუცი დემუროვს, მინა ჰეიშვილს და ქალაქის ბოქაულს ბ. ჩიკვაიძეს, რომელმანაც იკისრეს 26 აპრილის ილიუზიონის ბილეთების გაყიდვა კვირიკენის უბანში ახლად დაარსებულ სამკითხველოს სასარგებლოდ. აგრეთვე მადლობას ვუძღვნი ბ. გერმანე გოგიტიძეს და ს. ა. კალატოზიშვილს, რომლებმაც ხელსაყრელ ფასებში დაგვითმო პროექტორი საუკეთესო სურათებით. მადლობას უძღვნიან კვალადვე, შემდეგ პირებს, რომლებმაც გარდა ბილეთებისა კერძოდ შემოსწირეს აღნიშნულ სამკითხველოს:

ა. გ. ბებურიშვილმა—25 მან., ა. გ. კალანდაძემ 5 მან., ე. [illegible] 55 კაპ., პ. ს. თოთიბაძემ 50 კაპ.

წმიდა შემოსავალი უდრის ას თორმეტ მანეთს 112 მ. და 80 კაპ. შემოწირულებითურთ, რომელიც გადადებულია სამკითხველოს შენობის შესაძენად.

გამგეობის მონდობილობით თავმჯდომარე იაგორ ლომინაძე.

## თეატრი და ხელოვნება

ქართული ოპერა.

თბილისში შესდგა მუსიკის მოღვაწეთა პატარა წრე, რომელმაც თავის მიზნად დაისახა მოაწყოს ხოლმე თბილისში და პროვინციის სხვა და სხვა ქალაქებში ქართული საოპერო წარმოდგენები როგორც ორიგინალური, აგრეთვე ნათარგმნი ოპერებისა; ორიგინალურ ოპერების უქონლობისა გამო ჯერ-ჯერობით წრემ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება იმას, რომ რაც შეიძლება ბევრი ოპერა იყოს ქართულად ნათარგმნი და დადგმული.

ამ ხანად, გარდა ძველად ნათარგმნისა, გადაითარგმნა კ. ი. დოდაშვილის მიერ: „რიგოლეტო“, „ტრავიატა“, ითარგმნება: „ლაკმე“, „ძუნწი“, „რაინდი“ და სხვა.

6 მაისს წრე ზუბალაშვილის თეატრში სახალხო მუსიკალურ საზოგადოების დახმარებით სდგამს პირველად ქართულ ენაზე ოპერა „ტრავიატას“. იმედია, ქართველი საზოგადოება ჯეროვნად დაინტერესდება ამით და თავისი დასწრებით გაამხნევებს მომუშავეთ.

## შემოწირულება

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:

1) არჩილ სოლომონის ძემ ციხისთავმა: ა) 19 შავი ფული და ბ) სამი თეთრი ფული.

2) ალექსანდრე ნიკოლოზის ძემ გველესიანმა და მისმა მეუღლემ თამარ დავითის ასულმა გველესიანისამ: ა) ქვიდან გამოკვეთილი კაცის თავი (დაღესტანში ნაპოვნი), ბ) თიხის ჰურჰელი კვერის მსგავსი, გ) სპილენძის ჰურჰელი, ლულიანი, დ) ერთი დოქი თიხისა, ქაშანური და ე) კაცის და ცხოველების სახეები ბრინჯაოსი, დაღესტანში ნაპოვნი.

3. მიხეილ ალექსანდრეს ძემ ავალიანმა დეკანოზის ალექსანდრე პავლეს ძის ავალიანისაგან დარჩენილი ხელნაწერი წიგნი (კრებული სხვა და სხვა მოთხრობებისა).

4. დავით აფციაურმა—ალექსანდრე ბატონიშვილის ორი წერილი.

5. მღვდელმა ალექსი თევზაძემ: ტყავზე ნაწერი ორი სახარება (ერთს თავი და ბოლო აკლია).

6) ვარლამ სოლომონის ძემ ახვლედიანმა—ლიზიმახის ოქროს ფული.

7. ერმილე ნაკაშიძემ—1819 წლის „საქართველოს გაზეთი“.

საზოგადოების საბჭო გულითად მადლობას უძღვნის შემომწირველებს.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი


# გამოსადეგი ცნობა

კავკასიის სამკურნალო ადგილების

## ცნობის მიმცემი ბიურო

(ბარიათინსკის ქუჩა № 6.)

უფასოდ იძლევა ყოველგვარ ცნობებს კავკასიის სამკურნალო ადგილების ყოველგვარ საკითხზე. ბიურო ღიაა სალამოს 5—7 საათამდე ყოველ დღე, უქმე დღის გარდა. ტელ. 14—96. წერილობითი პასუხის მისაღებად 10 კ. მარკა უნდა გამოიგზავნოს. (უ)

წიგნის მაღაზია

## „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

## ძმ. ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

### განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამაევის შესახვევი № 4.